საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

2 08 2019 წ. №168

ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/1) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

სსიპ-კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/1) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი".
2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) პიარ მენეჯერს გვანცა ზაქარეიშვილს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი

გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ
საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი
_____ გ. ჩხეიძე
„ 2 „ 08 2019 წელი

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/1) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი

1. სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის #126 ბრძანებით გამოცხადებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი#2/1) შემოტანილ პროექტებს განიხილავს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული კინოცენტრი) საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება 5 წევრისგან.
2. საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან №2/1 კონკურსზე შემოტანილ პროექტებს (სცენარებსა და სხვა დოკუმენტაციას), რის შემდეგაც დათქმულ დროს დგება პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება თითოეული პროექტის ავტორებთან, ამის შემდეგ კომისიის წევრები კომისიის სხდომაზე აფასებენ პროექტებს დანართი 1–ით განსაზღვრული ფორმით: სცენარი და რეჟისორი ფასდება 1-დან 10 ქულამდე, ხოლო პროდიუსერი 1-დან 5 ქულამდე.
3. კომისიის წევრების მიერ დაწერილი ქულები, ასევე იწერება დანართი 2–ით დადგენილ ფორმაში.
4. საბოლოო შედეგი მიიღება ქულათა დაჯამების შედეგად, საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს წარუდგენს დასკვნის სახით.
5. საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ ქულათა მაქსიმუმს.
6. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და განსაზღვრავს თითოეული პროექტისთვის დაფინანსების ოდენობას.

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის შეფასება

1. სცენარის შეფასება • იდეა/თემა • სტრუქტურა • დრამატურგია • პერსონაჟები • დიალოგები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	გთხოვთ, სცენარის შეფასებისას გაითვალისწინოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები. *გთხოვთ, სცენარი შეაფასოთ 10-ქულიანი სისტემით და შესაბამისი ქულა შემოხაზოთ გრაფაში.*									
გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენ მიერ მინიჭებული ქულის არგუმენტაცია. ტექსტის მოცულობა შეზღუდული არ არის.										

2. რეჟისორის შეფასება • რეჟისორის მოტივაცია • ხედვა • ვიზუალური მხარე • ატმოსფერო/სტილი • წინა ნამუშევარი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	გთხოვთ, რეჟისორის შეფასებისას გაითვალისწინოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები. *გთხოვთ, რეჟისორი შეაფასოთ 10-ქულიანი სისტემით და შესაბამისი ქულა შემოხაზოთ გრაფაში.*									
გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენ მიერ მინიჭებული ქულის არგუმენტაცია. ტექსტის მოცულობა შეზღუდული არ არის.										

<table>
<tr><td rowspan="2">3. პროდიუსერის შეფასება
• პროდიუსერის მოტივაცია
• პროდიუსერის გამოცდილება
• პროექტის სადისტრიბუციო პოტენციალი</td><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>4</td><td>5</td></tr>
<tr><td colspan="5">გთხოვთ, პროდიუსერის შეფასებისას გაითვალისწინოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები.

გთხოვთ, პროდიუსერი შეაფასოთ 5-ქულიანი სისტემით და შესაბამისი ქულა შემოხაზოთ გრაფაში.</td></tr>
<tr><td colspan="6">გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენ მიერ მინიჭებული ქულების არგუმენტაცია. ტექსტის მოცულობა შეზღუდული არ არის.</td></tr>
</table>

ხელმოწერა_____

თარიღი_____

სცენარის შეფასება																															
რეჟისორის შეფასება																															
პროდიუსერის შეფასება																															

#	პროექტები	A
2/1-1		0
2/1-2		0
2/1-3		0
2/1-4		0
2/1-5		0
2/1-6		0
2/1-7		0
2/1-8		0
2/1-9		0
2/1-10		0
2/1-11		0
2/1-12		0
2/1-13		0
2/1-14		0
2/1-15		0
2/1-16		0
2/1-17		0
2/1-18		0
2/1-19		0
2/1-20		0
2/1-21		0
2/1-22		0
2/1-23		0
2/1-24		0
2/1-25		0
2/1-26		0
2/1-27		0
2/1-28		0
2/1-29		0
2/1-30		0
2/1-31		0
2/1-32		0
2/1-33		0
2/1-34		0
2/1-35		0
2/1-36		0
2/1-37		0
2/1-38		0
2/1-39		0
2/1-40		0
2/1-41		0
2/1-42		0
2/1-43		0
2/1-44		0
2/1-45		0
2/1-46		0
2/1-47		0
2/1-48		0
2/1-49		0
2/1-50		0
2/1-51		0
2/1-52		0
2/1-53		0
2/1-54		0
2/1-55		0
2/1-56		0
2/1-57		0
2/1-58		0
2/1-59		0

კომისიის წევრის სახელი,გვარი